თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4287623

ნომერი: AR1641545

თარიღი : 01.11.2018

გაცემის თარიღი : 03.12.2018

გაცნობის თარიღი : 04.12.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა დავით კვაჭანტირაძე , N 22;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზაქარია სოზაშვილი პ/ნ 20001000949
- თელავის რაიონი, ს. ვარდისუბანი

ორგანიზაცია:

- შპს დეველოპმენტ ჯორჯია კოდი: 405044198

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 20 მარტის №3157554 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 01 ნოემბერს NAR1641545 განცხადებით მომართა ზაქარია სოზაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2017 წლის 20 მარტის №3157554 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 20 მარტის №3157554 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი – ისანი, ქუჩა დავით კვაჭანტირაძე, N22, თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.10.001.118), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 21 მარტიდან 2018 წლის 21 მარტის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2017 წლის 20 მარტის №3157554 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, საცხოვრებელი ფართობი 9173.87 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 11861.63 კვ.მ, საზაფხულო ფართობი 1545.06 კვ.მ-ის ნაცვლად 1644.32 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 1775.48 კვ.მ-ის ნაცვლად 1769.44 კვ.მ ხოლო, საერთო ფართობი 16864.59 კვ.მ-ის ნაცვლად 16889.39 კვ.მ. ამასთან ითხოვს, დამხმარე ფართობის (2756.18 კვ.მ) ამოღებას. განმცხადებლის მიერ ასევე წარმოდგენილია შესწორებული გეგმები.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 20 მარტის №3157554 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საცხოვრებელი ფართობი: 11861.63 კვ.მ, საზაფხულო ფართობი: 1644.32 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი: 1769.44 კვ.მ. საერთო ფართობი: 16889.39 კვ.მ. ამასთან, ამოღებულ იქნას დამხმარე ფართობი (2756.18 კვ.მ).
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 20 მარტის №3157554 ბრძანებით შეთანხმებული -3.400, 0.000, +3.300, +6.600, +9.900, +13.200, +16.500, +19.800, +23.100, +26.400, +29.700, +33.000, +36.300, +39.600, +42.900, +46.200, +49.500 და +52.800 ნიშნულის გეგმები ჩანაცვლდეს 2018 წლის 01 ნოემბრის NAR1641545 განცხადებით წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გეგმებით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 20 მარტის №3157554 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 20 მარტის №3157554 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.